„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერი ჩვენ ვართ ყველაო“

ყოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2019 წელი • №13 (9461) • 1-15 ივლისი • ფასი 50 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

ინფრასტრუქტურული პროექტები

სენაკის მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება აქტიურად გრძელდება. მიმდინარე სამუშაოების პროცესი სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ და მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა დაათვალიერეს. მა-

ლე ქალაქს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ახალი თანამედროვე სტანდარტების შენობა შეემატება. სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურისათვის შენობის მშენებლობის პროექტს, რომლის ღირებულებაა 239 239 ლარი, ი/მ მანუჩარ ნაჭყებია ახორციელებს. ობიექტის სამშენებლო სამუშაოები, რომლის მშენებლობაზე 15-მდე ადგილობრივია დასაქმებული, მაისის თვეში დაიწყო და ივლისის ბოლოსთვის დასრულდება. ასევე, წლების შემდეგ პირველად, შპს „სენაკის სამშობიარო სახლი" გათბობის თანამედროვე სისტემით აღიჭურვება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გათბობის სისტემის მოწყობისა და სარემონტო სამუშაოები, რომლის ღირებულება 48 989 ლარია. პროექტს შპს „დაგი" ახორციელებს. უახლოეს დღეებში მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის ბათარიას უბნის მოსახლეობა კეთილმოწყობილი მოსაცდელით ისარგებლებს. დასრულების ფაზაშია მგზავრთა მოსაცდელის კაპიტალური შენობის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს. სამუშაოების ღირებულება, რომელსაც შპს „მშენსერვისი - 7" აწარმოებს, 5 305 ლარს შეადგენს. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის მიერ შერჩეული მნიშვნელოვანი პრიორიტეტების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხორციელდება.

***

საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია და სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას გაეცნენ და სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის წარმომადგენლისგან პროექტების მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს. ამ ეტაპზე, ქალაქის მასშტაბით, გრძელდება მრავალბინიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციის და დაზიანებული სახურავების გადახურვის პროცესი. აქტიურად მიმდინარეობს წმინდა ნინოს № 8, №10, №11 და №14-ში მდებარე მრავალბინიანი კორპუსების გარე კედლების რეაბილიტაცია და გადახურვა. ასევე განახლდება რუსთაველის №166, №168, №168-ბ, №231, №235 და №235-ა კორპუსების ფასადები და დაზიანებული სახურავები. სამუშაოებს, რომლის სატენდერო ღირებულებაა 288 686 ლარი, ტენდერში გამარჯვებული ინდმეწარმე ველოდი სანაია აწარმოებს. საქართველოს პარლამენტის წევრმა, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატმა ირაკლი ბერაიამ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დასრულებული სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს.

მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში

წმ. ალექსი შუშანიას სახელობის სენაკის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის სამეგრელო-ზემო სვანეთის ბიუროს წარმომადგენელობამ შეხვედრა გამართა. საინფორმაციო შეხვედრას, რომელიც საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებს, არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებს, ანტიდასავლური პროპაგანდის საფრთხეებს შეეხებოდა, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის სამეგრელო-ზემო სვანეთის ბიუროს წარმომადგენელი ანა ცანავა უძღვებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საინფორმაციო ცენტრის პროექტის - „მასწავლებელი მეგზური ევროპისკენ" - საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი 10 საუკეთესო პროექტიდან ერთ-ერთის ავტორი და გამარჯვებული სენაკის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის პედაგოგი ნათია დავითაიაა, რომელსაც მოპოვებული გამარჯვება სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა. შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, სკოლა-გიმნაზიის დირექტორი ნინო ჯანჯღავა, პედაგოგები და მოსწავლეები ესწრებოდნენ. შეხვედრის ფარგლებში, აშშ-ს არიზონას შტატის ქალაქ ფენიქსში გამართულ Intel-ISEF-ის საერთაშორისო სამეცნიერო - საინჟინრო კონკურსში მიღებული გამოცდილებების შესახებ პრეზენტაცია გამართეს მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებმა, შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მოსწავლეგამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი" გამარჯვებულებმა, მარიამ ბახტაძემ და ანანო კალანდარიშვილმა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან და სენაკის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიასთან შემდგომი თანამშრომლობისთვის მზაობა გამოთქვა. 25 ივნისს, მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო კონკურსში გამარჯვებული სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეები 10 დღით ბულაჩაურის „მწვანე ცენტრის" საზაფხულო ეკო-ბანაკში გაემგზავრებიან.

უმნიშვნელოვანესი შეხვედრა



საქართველოს პალამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია და სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილთან ერთად, ჩინეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის დირექტორს ლი ქსიაო ბინგს და სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ჩინური კომპანია სენაკში ფართოპროფილურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოს ააშენებს. პროექტი სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის ალექსანდრე მოწერელიას უშუალო მხარდაჭერით ხორციელდება. შეხვედრის დასასრულს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ინვესტორებთან ერთად დაათვალიერეს ლოკაცია, სადაც თანამედროვე სტანდარტების ახალი ფსიქიატრიული საავადმყოფო აშენდება. შესაბამისად ფართოპროფილური საავადმყოფოს მშენებლობის დასრულების და თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვის შემდეგ პაციენტებს შესაძლებლობა ექნებათ სამედიცინო მომსახურება საუკეთესო პირობებში მიიღონ.

ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსს ლევან წულაიას და სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) წარმომადგენლებს - ალექსანდრე დოლბაიას, ედიშერ ბაღათურიას, ედუარდ ფარცვანიას - შეხვდნენ. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე საუბარი მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს და ამ სფეროში არსებულ გამოწვევებს შეეხო, განსაზღვრა ის პრიორიტეტები, რაც ამ მიმართულებით ხელს შეუწყობს სენაკის მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას და მის უკეთ წარმოჩენას.

კენკროვანი კულტურების გაშენებისთვის

ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში გამართულ შეხვედრაზე, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს/სენაკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა გიორგი ხარგელიამ, მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში, სახელმწიფო პროექტის „დანერგე მომავალი" კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტში შესული ცვლილებები გააცნო. შეხვედრას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, ადმინისტრაციულ ერთეულებში კოორდინაციის განყოფილების და სოფლის მეურნეობის

პროექტების მართვის სააგენტოს/სენაკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სახელმწიფო პროექტში „დანერგე მომავალი" ხეხილის ბაღების თანადაფინანსების ახალი ქვეკომპონენტი -„კენკროვანი კულტურები" - ლურჯი მოცვის, მაყვლის და ჟოლოს ინტენსიური ბაღების კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში გაშენების დაფინანსებას ითვალისწინებს. აღნიშნული პროგრამა მცირემიწიან ფერმერებს აძლევს შესაძლებლობას განავითარონ საკუთარი მცირე ფერმერული მეურნეობები და მიიღონ სარგებელი. ფერმერები, რომლებიც შესაბამის ტესტირებას გაივლიან და მზად იქნებიან პროგრამაში ჩასართავად, სახელმწიფოს მხრიდან სრულ 100 %-იან დაფინანსებას მიიღებენ. ახალი ქვეკომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების 100%, როგორც ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას, ასევე მათი იმპორტის შემთხვევაში, ასევე, წვეთოვანი სარწყავი სისტემების ღირებულება, საჭიროების შემთხვევაში კი - ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების ღირებულების 100%. პროექტი მიზნად ისახავს მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიან გამოყენებას, რის შედეგადაც, მოხდება იმპორტირებულის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება, გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა და სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება. დაინტერესულ პირებს დეტალური ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს/სენაკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

მოგითხრობთ მიმდინარე და დასრულებულ პროექტებზე

როგორც ცნობილია სენაკის მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს ბატონ ვახტანგ ფაცაციას.

ბატონი ვახტანგი 2017 წლის 2 თებერვლიდან იკავებს ამ პოსტს. მას დამთავრებული აქვს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი „სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის კუთხით". იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა სენაკის №5 და №2 სამშენებლო ტრესტებში სამუშაოთა უფროს მწარმოებლად. 2004 წლიდან კი იყო სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გამგებლის მოადგილე, აგრეთვე მშენებლობის კუთხით სამმართველოს უფროსი, ინფრასტრუქტურის სამსახურში განყოფილების უფროსი.

ბატონ ვახტანგს ვთხოვეთ ესაუბრა მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. გთავაზობთ 2019 წელს განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაციას.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური მიმდინარე წელს მუშაობას ეწევა სამსახურის დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად. 2019 წელს გათვალისწინებულია თემებში ასფალტობეტონის საფარის მოწყობა (ღირებულებით 2 000 346 ლარი), ქალაქის ქუჩებში ასფალტის საფარის მოწყობა (ღირებულებით 1 499 523 ლარი), მრავალბინიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია (ღირებულებით 288 686 ლარი),ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები (ღირებულებით 131 131 ლარი), მინი სტადიონების რეაბილიტაციის (ღირებულებით 225 861 ლარი) და ცენტრალური სტადიონის სარემონტო სამუშაოები, სსიპ საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და დახმარების ცენტრის, სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის შენობის მშენებლობა (ღირებულებით 239 239 ლარი). დასრულებულია ეზოების კეთილმოწყობის სამუშაეობი ურიდიას ქ.N26 და რუსთაველის ქ.N251-ში, ასევე დასრულებულია ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობის სამუშაოები ჭავჭავაძისა და აკ.ელიავას ქუჩაზე (ღირებულებით 380 776 ლარი).

გარკვეული სახის სამუშაოები ხორციელდება სპორტული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. წლეულს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 მინი სტადიონს ჭყონდიდელის, რუსთაველის ქუჩაზე №N7 საჯარო სკოლის, მ.ღვინჯილიას ქუჩაზე (მექანიკური ქარხნის დასახლება) და ჟ.შარტავას სახელობის ცენტრალურ პარკში. დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები ცენტრალურ სტადიონზე, სადაც პირველ რიგში მოეწყობა ფასადები, საშხაპეები, კაბინეტები თეორიული მეცადინეობისათვის და სხვა (150 ათ.ლარი).

დასრულდა ახალი სანიტარული კვანძის და შემკრები ნაგებობის სამუშაოები თეკლათის საჯარო სკოლაში (58 650 ლარი).

სამუშაოები დაიწყო სსიპ საგანგებო სიტუაციების კორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრის, სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის შენობის მშენებლობა.

ასევე მიმდინარეობს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები ღირებულებით 738 ათ.ლარი.

უახლოეს პერიოდში დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები 4 სოფლის ამბულატორიებში(ზანა, ეკი, ნოსირი, ზემოფოცხო).

წლეულს დაგეგმილია 470 ათასი ლარის სამუშაოების ჩატარება 11 საჯარო სკოლაში.

ასევე შედგენილ იქნა სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად განსახორციელებელ სამუშაოებზე პროგრამა, რომლის სამუშაოებიც გამარჯვებულის გამოვლენის შედმგომ დაიწყება (სავარაუდო ღირებულებით 430 ათასი ლარი).

დაწყებულია 996 ათასი ლარის ღირებულების სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ასევე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს სოფ.თეკლათში, ლეძაძამეში და მენჯში ბეწვის ხიდების აღდგენა-რეაბილიტაციაზე, რომელიც დასრულების სტადიაშია (233, 447 ათ.ლარი).

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა მონიტორინგი მდინარეების სანაპირო ზოლის დაზიანებული და საშიში მონაკვეთების გამოსავლენად და სათანადო უწყებების წინაშე წარსადგენად. მეწყერისაგან დაზიანებული 63 საცხოვრებელი სახლების მდგომარეობაზე, ინფორმაცია გადაეცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში კატეგორიის მისანიჭებლად და სათანადო რეაგირებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც შიდა სახელმწიფოებრივ ასევე ადგილობრივ გზებზე საგზაო ნიშნების მოწესრიგებას და განთავსებას, რაც ავტომანქანების უსაფრთხო მოძრაობის გარანტია.

დასრულდა დავით აღმაშენებლის ქუჩის ზედა მონაკვეთში მცხოვრებთათვის წყლის წნევის გამაძლიერებელი სატუმბი სადგურის და წყალსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოები, რასაც მერიის მოთხოვნის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია.

ასევე მნიშვნელოვნად ფართოვდება ქალაქის გაზმომარაგების ქსელი, რომლის ერთ-ერთი მაგალითია ე.წ სამხედრო ქალაქის დასახლებაში ბუნებრივი აირის მიწოდება, რომელიც შ.პ.ს. „გასკო+" –მა აწარმოა და 2019 წლის ივნისის თვეში დასრულდა.

ასევე საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ შემუშავებულ იქნა 2019-2021 წლებში განსახორციელებელი სამუშაოების პროგრამა, რომლის შესაბამისად 2019 წლის 5 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება N791, რაც ითვალისწინებს წლეულს საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებს სოფ.შხეფში, ტყირში, ხოლო საპროექტო სამუშაოებს კოტიანეთში, საკილასონიოში, საოდიშარიოში, საბესელიოში რომლის მშენებლობა გათვალისწინებულია 2020 წელს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, ინფრასტრუქტურის სამსახურს და ბატონ ვახტანგ ფაცაციას ვუსურვებთ წარმატებით განეხორციელებინოს ყველა ზემოთაღნიშნული პროექტი.

როგორც ვხერდავთ ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ძალ-ღონეს არ იშურებს ჩვენი ქალაქის კეთილმოწყობისა და გალამაზებისათვის.

მარიკა მიქაბერიძე

სენაკის საცხენოსნო ტრადიციები

ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სენაკის საცხენოსნო კლუბის დამფუძნებლის ირაკლი ლაკიასა და მუზეუმის მეცნიერ-მუშაკის ლალი გულუას ინიციატივით გაიმართა შეხვედრა სენაკელ სპორტის ოსტატებთან და მოეწყო ფოტოგამოფენა „სენაკის საცხენოსნო ტრადიციები". ფოტოებზე ასახულია 1927 წლიდან დღემდე გამართული ღონისძიებები და ის ადამიანები, რომლებმაც შექმნეს სენაკის საცხენოსნო ისტორია. ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარის მოადგილეები ინგა ქარდავა და ბესიკ ნარმანია, მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ლევან უჩანეიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები, ვეტერანი ცხენოსნები.

შეხვედრა გახსნა მუზეუმის სპეციალისტმა დამირ კუჭავამ, რომელმაც ისაუბრა სენაკში არსებულ საცხენოსნო ტრადიციებზე და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ქართულ ხალხურ ცხენოსნურ თამაშებს: ისინდი, ცხენბურთი, ყაბახი, მარულასა და ბაზიერს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ირაკლი ლაკიამ მოკლედ მიმოიხილა სენაკის საცხენოსნო კლუბის 92 წლოვანი ისტორია „საცხენოსნო კლუბს მდიდარი წარსული და დიდი ისტორია გააჩნია. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, 1927 წელს ქ. ცხაკაიაში (სენაკი) პირველად ჩატარდა დღესასწაული საცხენოსნო სპორტის სახეობებში: ისინდი, თარჩია, ცხენბურთი, ჩერეზი, მოქნევა, მარულა, ყაბახი, კონკური და სხვა. 1929 წელს გაიმართა ცხენოსნური გადარბენა ქობულეთიდან ცხაკაიაში. 1937 წელს მოეწყო ცხენოსნური გადარბენა აფხაზეთის, სამეგრელოს, ქუთაისის, ცხინვალის, სიღნაღის, ბორჯომის და სხვა რაიონების ცხენოსანთა მონაწილეობით. ცხენოსნურ სპორტში შემდგომ წლებშიც სისტემატურად ეწყობოდა შეჯიბრებები. სენაკის იპოდრომი ათწლეულების მანძილზე მასშტაბურ საცხენოსნო შეჯიბრებებს მასპინძლობდა"-აღნიშნა მან.

ღონისძიების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ტრაგიკულად დაღუპული ცხენოსნის მამუკა ლაშქარავას ხსოვნას.

მუზეუმის მეცნიერ –მუშაკმა ლალი გულუამ გაიხსენა სენაკელი წარმატებული სპორტსმენები, რომლებმაც სხვადასხვა ტურნირში მიაღწიეს წარმატებას, ისაუბრა თუ როგორ ხდებოდა წლების განმავლობაში სენაკის სპორტული ცხოვრების ამსახველი საარქივო მასალების მოპოვება, მან მადლობა გადაუხადა ირაკლი ლაკიას თანამშრომლობისათვის და იმ მრავალფეროვანი ფოტომასალისათვის, რომელიც ირაკლიმ ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა.

საქართველოს მთავრობის
დადგენილება №202
2019 წელის 24 აპრილი
ქ. თბილისი

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის – ქართული ნაციონალური ცხენოსნური თამაშობებისთვის: ისინდისათვის, ცხენბურთისათვის, ყაბახისათვის, მარულისა და ბაზიერობისათვის (დამკვრა მტაცებელი ფრინველითა ანუ ბაზით ნადირობა) უროკუნული მნიშვნელობის კატეგორიის ჯანმაზედრის შესახებ

მუხლი 1
„კულტურული მემკვიდრეობის მესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი მესაბამისად, სამარულასა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად – ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშობები: ისინდი, ცხენბურთი, ყაბახი, მარულასა და ბაზიერობის (დამკვრა მტაცებელი ფრინველითა ანუ ბაზით ნადირობა) ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლად.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი ბიძინა ივანიშვილი

გამომსვლელებმა ბორის დავითაიამ, მარინე აბრამიამ, ბესიკ ნარმანიამ, გრიგილ ბაღათურიამ, ლევან უჩანეიშვილმა ხაზი გაუსვეს, რომ საქართველო ძველთაგან ცნობილი იყო როგორც განვითარებული საცხენოსნო სპორტის ქვეყანა. ხოლო 2016 წელს ჩატარებულმა მარულამ ცხადყო, რომ წინაპრების ტრადიცია დავიწყებას არ მიეცემა.

ვეტერანმა ცხენოსნებმა საქართველოსა და სსრკ სპორტის ოსტატებმა რევაზ ოთხოზორიამ და ზურაბ ჩარგაზიამ გაიხსენეს სენაკელი ცხენოსნების წარმატებული გამოსვლების შესახებ სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე. მათ აღნიშნეს, რომ სენაკს დღესაც აქვს საკმაო რესურსი იმისა, რომ კვლავაც მოიპოვოს წარმატებები რასაც მოწმობს თეკლათისა და ჭალადიდის გუნდები. მთავარია შეიქმნას სათანადო ინფრასტრუქტურა. გარდა იმისა, რომ ცეხნოსნობა ოდითგანვე ელიტარულ სპორტად ითვლება, ჯანმრთელობისათვის აუცილებელი და სასარგებლო სპორტია და ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია ადამიანისათვის.

მადლობა ღონისძიების ორგანიზატორებს, თითოეულ ადამიანს, ვინც ცოტაოდენი წვლილი შეიტანა ასეთი საინტერესო არქივის შექმნაში, ვიმედოვნებთ, რომ სენაკი ისევ გახდება ცხენოსნობის ერთ-ერთი ცენტრი საქართველოში, რაც მივიწყებული ტრადიციების აღდგენა-პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

მაია შონია

რეზო ალამია

გოდება და ვედრება ყოველთა

(გაგრძელება)

მზის სისტემის სანიმუშო მიწიერმა მასპინძლებმა შხამს ამოვლებული სულით აწამეს მაცხოვარი და ყაჩაღის დონეზე მოკლეს. მერე სიბრძნისეულად ითქვა, ასე უნდოდაო მხსნელს; რათა გამოესყიდა, თურმე, დიდიან-პატარიანად მისივე მკვლელებითურთ თანდაყოლილი ბინძური ცოდვებისგან. მერმე?! მაინც არ დაადგა საშველი და სხვა ფორმით უფრო მძაფრად გაგრძელდა მორჩილ მორწმუნეთა გაუთავებელი დასჯა, ტანჯვა და მკვლელობები. მხოლოდ ასეა საჭირო, თუ არადა სამოთხეში ვერ მოხვდებითო. ალბათ გულუბრყვილო ფანატიკოსები მალე უბოროტეს დამნაშავეებსაც გაამართლებენ მიტევების ფონზე ის საშინელი უკეთურობა ხომ ფაქტიურად მასიურად მათ, კანონმდებლებმაც, განახორციელეს.

ამქვეყნიურობა უწყვეტი წინააღმდეგობებია და სიცოცხლე ჟამთა სვლით ურთულესია, კოსმოსური თუ უახლოეს მიწიერ მოვლენათა ჩახლართული ხვეულებით. უპატიებელ შემთხვევაშიც გვეუბნებიან, ყოველივე მაგ სახის მოქმედებები აუცილებელ-ჩვეულებრივია თურმე. აქ დავძენ უმძაფრეს მოვლენას:

„მამა, რატომ მიმატოვე?!“ – ჯვარზე გაკრული და უკიდურესად ნაწამები, დასისხლიანებულ-სხეულდაგლეჯილი მომაკვდავი იესო, მარტოდ დარჩენილი, მიწასა და ცას შუა ჯვარს ცმული, შესთხოვს უფალს და ზეციდან პლანეტის წონის ბრილიანტ-ცრემლი გადმოვარდა. მაცხოვრისეული ასეთი უმძიმესი გარემოების შემთხვევაში მიუწვდომელი ფსიქოლოგიურ-მართალი ფიქრ-ვედრებაა და უკიდურესობისას მაცხოვარი რეალურობით გაიხსნა და იდუმალ მკვებავმა, ღვთიურმა გონ-სულით სინათლის უშორესმა მართალმა გონიერმა ფორმამ ათქმევინა: რატომ მიმატოვე, მამა?! საუბედუროდ, უსაზღვრო სამყაროს მთავარ-უფალიც ვერ უმკლავდება თურმე ავსულსხივოსან პლანეტებს და დედამიწაზე მისი გავლენისაგან ბოროტად მცხოვრებთ, რათა უმეტესობათაგანი სიკვდილამდე გამოუსწორებელი სიავის საშოა...

წარმართობიდანაც უსაშველოდ ცოდვილიანთ, კეთილი და მოსიყვარულე, ბრძენთაბრძენი, ზეციური მოვლენა მხსნელი როგორც იქნა გვეახლა გადამრჩენად, ჩვენ კი ჯვარცმა, წამხდარი ძმარ-შხამწურწუფა შევახვედრეთ.

შხამისფერ მრავალფეხა უკიდურესად მონდომებულმა ეშმაკმა ვერაფერი ვერ დააკლო იესო ქრისტეს, ჭეშმარიტების მოძულეებმა კი დაუნდობლად აწამეს და სიკვდილით განიშორეს. სათაყვანებელი წიგნი „ახალი აღთქმა“ ჩვეულებრივი მომუშაკე პიროვნებებიდან უფალ იესოს მიერ მოციქულებად ნაკურთხებმა დაწერეს მაშინ, როდესაც მაცხოვარი დედამიწიდან ამაღლებით გასული იყო. წმინდა ოთხთავი უთუოდ, აწმყო-მომავლის წარმოუდგენელი იმედით სავსე, ბრძნული და კეთილაზროვნებითი რელიგიურ-ქრისტიანული სწავლებაა, რომელშიც შესწორებების შეტანის უფლება მხოლოდ ღმერთ იესოს ექნებოდა და აქვს, მაგრამ...

დრო! უსასრულობიდან მოედინება უწყვეტად და დაუსაბამობაში გადის.

სიბრძნე-სიმართლის ამქვეყნიურ თუ იმქვეყნიურ სრულ ჭეშმარიტებაზე, უფალი მხოლოდ გენიოსებს ააზროვნებს. როგორც თქვენ ნებისმიერნი, მეც ხომ უფლის და სამყაროს უმცირესი ნაწილაკი ვარ და ჩემდა უნებურად ზოგჯერ ნაწილობრივ სიმართლეზე ავლაპარაკდები: რატომ?! მიუბრძანეთ ზეუზენაესძალებო, მკვლელებად შობილ უბოროტეს არსებებს, სიკეთე, სიბრძნე, სიყვარულისა და ზნეობრივი ბედნიერების მომტანი და სიცოცხლის უფლისეული სიმბოლო – ძე ღვთისა, მამაზეციერი იესო?!

სწავლებაში მტკიცედ ჩაკეტილნი დამაჯერებლად გვმოძღვრავენ, ამდაგვარად წერია საღვთო წერილშიო. ნებისმიერი მოძღვრებათაგანი ხომ კაცთა მიერ დაწერილია, მრავალმხრივი ზეციური შეგონება-ცნობიერებიდან გამომდინარე. უფალს და ძე ღვთისას ერთი წინადადებაც არა აქვთ ჩვენთვის შექმნილი წერილ-ნაანდერძევი. ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, მაცხოვრის უსაზღვროდ სპეტაკმა შეგნებამ, მიმნდობმა სულიერმა დაყოლამაც განსაზღვრა მთავარ-შემაძრწუნებელი და ქვეყნიურ უმძიმესი სისხლიანი ჯვარ-ტრაგედია.

დედამიწელების შავი ძალებისგან მხსნელი, თითქმის უმეტესობისაგან მიტოვებული, უარყოფილი, განწირული პირადი ზეციური ზნეშემართებით, ყველაფერზე და ყველაზე აღმატებული აღმოჩნდა. ეჭვს გარეშეა, კოსმოსური უარყოფითი ურთიერთში გადაბურდული სხივებიც გარემო სივრცეში ხომ უხილავ ხავსისფერ კაპილარებადაა დაქსაქსულ-ჩასახული. ჩვენი კი მცირედ დარჩენილნი მოულოდნელი ზეციური მრუდე მოვლენებისგანაც წინდაუხედავად და საცოდავად შემცდარნი ურთიერთგანმწირავ გადაბრალებებზეც ვართ გადართულნი. ამდაგვარი დაუსრულებელი მდგომარეობით დაღონებულნი, სამართლიანად ვკითხულობთ: – რა ხდება ჩვენს ირგვლივ და სამყაროში?! თქმაც არ უნდა, მიუწვდომელი განზომილების და უმკაცრესი უდრეკ, დაუმორჩილებელ კოსმოსურ უმძაფრეს გარდამავალ წესრიგთან გვაქვს საქმეშეხებები, რომელიც ჯეროვნად აღაზევებს ცოდვილიანობისკენ გადახრილ კაცთ-ეშმაკეულთ.

ჩვენგან, ყველას ხომ არ ძალგვიძს თვალ-გონების დახუჭვა და გულღიად ვაღიარებთ, რომ გონ-სულიერი მოთმინებით უნდა ველოდოთ შეწუხებულ პლანეტაზე უფლისმიერ უკეთილშობილეს ზნეობრივ-განმწმენდავი ჭეშმარიტების ჰარმონიის მეორედ მოსვლას...

უსასრულოა სამყარო, მაგრამ უფრო ბევრად მეტი დაუსრულებლობაა ქვეყნიური გონდამბინდველი იდუმალი სავსეობის უხილაობა.

საოცრებათა სიმრავლის უძირო საკვირველებანია ყოველივე, რომლითაც გადავსებულ-გადატენილია ხილული ვარსკვლავეთის უხილავი უკიდეგანობა. აქვე მოვიყვან ფიქრმიუწვდომელ მაგალითს: მაგრე რომ არა, საიდან გამოგვეცხადებოდა დედამიწაზე მეცნიერულად შეუსწავლელი, ცოცხალი ოქროს ფონდი, ორი ათას ხუთასი, ერთმანეთისაგან ძირფესვიანად განსხვავებული ენა და მეტყველება?

მართალია, ბუნების მრავალფეროვან ლანდშაფტს, ოკეანეთა – ზღვა და მდინარეთა სიახლოვეს: განსაკუთრებულმა კლიმატმა გარემოს უწყვეტმა ხმამ – ქარმა, დაფანტულმა სივრცის მუსიკამ და ზეციურ სხივთა იდუმალმა ზეგავლენამ, საკუთარი მეტყველება შესძინა ადამიანთა ჯგუფებს და ხანგრძლივ დროთა ჟამში გამოუმუშავა თვითმყოფადი არქაული ბგერა და გაუმართავი სიტყვა, შემადარ ამყოლი მიმიკით და სხეულის მრავალმხრივი მოძრაობით, მაგრამ ყოველივე მაინც, როგორც მოგახსენეთ, ზენაარიულიდანაა მტკიცედ ჩამოყოლილი.

ამჟამად უძველეს ხელოვნება-კულტურა-ცივილიზაციებზე თავს ვიკავებ.

ზეშთაგონებით უახლოესი საუკუნეების ღვთიურმა კომპოზიტორებმა გენიალური მუსიკა გამოიხმეს განუზომელმიუწვდომელი ხმოვანი ზეციის უმდიდრესი სივრციდან. დიდმა მეცნიერებმა ჩამოათრიეს მომაკვდინებელი ატომიც (აქ ისევ ბოროტებამ შეუშხაპუნა ადამიანის გონებას თავისი მომაკვდინებელი სატანური გესლი). თანვე სამშვიდობო ტელეეკრანი, რადიო და სხვადასხვა ტექნიკით ცაში გაფანტულ ხმათა გამომხმობი. მიწიერებასთან ცოცხალ შეზავებით ვიზიდავთ ლექს-შედევრებს და პროზაულ ბრძნულ გენიას. აგრეთვე მოგვეწოდება ქანდაკების უთვალავი ინდივიდუალური უმკვრივესი პლანეტებისეული ფორმა სიახლე სტილი-შემადარი. რა ვილაპარაკო საოცრება არქიტექტურაზე, კინოსა და თეატრზე, ოპერის მომღერლ;ებზე, რეჟისორებზე, ასტრონომებზე და კოსმოს-ნათელმხილველებზე... მაგრამ ფერწერაზე, როგორც მხატვარი, გამორჩეულად ვიტყვი მის განუმეორებელ ზეციურობაზე, ღმერთსა და კაცთ შუამავლობაზე. დავიწყოთ ლეონარდოთი, მიქელანჯელო, რაფაელი, ბოტიჩელი, მაზაჩო. საოცრება ბიზანტიურ-ქართული ხატები და ღვთიური ეკლესია-ფრესკებით. დღესდღეობით კოსმოსში პირდაპირ უხილავი სიახლე ფერებით და ფორმებ -ხაზებით რომ გაგვიყვანა გენიალურმა ვასილი კანდინსკიმ, ხუან მირომ, სალვადორ დალიმ; არ გამომრჩეს დიდი კლასიკოსი რემბრანდტი, ცის სიღრმეებში გამავალი ელ გრეკო. ფერწერის მეფე ტიციანი, კრანახი, მიუწვდომელი გოია, ბრეიგელი, სულ-გონ უშუალობა ფიროსმანი. შევიხედოთ ანტიკურ ხელოვნებაში და ვიხილავთ ჰომეროსს, ფილოსოფოსებს – პლატონს, სოკრატეს, არისტოტელეს და უფალ ფიდიასს, პრაკსიტელს, ვენერა და ნიკეა მილოსელის უცნობ ავტორებს. ახლა კი შევჩერდები კოსმოსური ფერწერული არნახული კონტაქტი საოცრება მზე ვან გოგით. სუყველა, ზემოთ მოკლე სიით ჩამოთვლილ გენიათ ზეცა – უფალი მართავდა და კვებავდა, უძირო სავსეობა და უსაზღვრო. საკვირველ შემოქმედებით წყარო-წარმოსახვებს უხილაობიდან ჩამოაქვს უამრავი უნიკალური ღვთიური სიმდიდრე, მაგრამ ყოველივე ოკეანიდან ერთი კოვზი წყლის ამოღების ტოლიც არ არის ვარსკვლავეთური განძთაღურიცხველობის და ქვეყნიერების მრავალმხრივი ამოუწურავი ნიჭმეხსიერებისა.

მომავალში, უცილოდ, აინშტაინის დონის თუ უფრო დიდი მეცნიერები გამოიგონებენ აღმაშფოთებელ იდუმალ ელექტრო-რენტგენულ აპარატებს; გარდასულთა სულებთან დამაკავშირებელს და აწ დასაბადებელ ყრმათაც უნაკლოდ შეისწავლიან, რითაც დედამიწაზე ახალ სიცოცხლესთან ერთად, მოსვლა არ გამოცხადდების მეცნიერულად ჩარევის შესაძლებელ საკითხებსაც თანამედროულად დაამუშავებენ და მერმე მართლაც შეიძლება მოხდეს სუფთა ზნეობრივი წმიდად მიწიერი დახარისხებები; რითაც ბოროტთვისებიან სულთ არ მიაკარებენ მომავალ ბედნიერ დედას და ქვეყანა შეივსება კეთილისმყოფელი პიროვნებებით აი და მაშინ იქნება უფლისმიერი სინთეზი კულტურა-ცივილიზაცია მიუწვდომელი სრულიად წმიდანური ფორმა-სახით...

წარსულში კაცობრიობის ყოველგვარი გენიის მიღწევები უახლოეს პლანეტებთანაა მჭიდრო კავშირში, მაგრამ მომავალი მეცნიერ-სწავლულთა და ხელოვანთა ქმნილება-გამოგონებები სრულიად უფრო ღრმა და განსხვავებული მიუწვდომელთვალთ უხილავ სამყაროსეული იქნება. მთავარია, ავისმზრახველთა თანდაყოლილმა ბოროტმოქმედებებმა არ შეაფერხოს მომავალი ათასწლეულის მრავალ კეთილ გამოგონებათა კულტურა, ხელოვნების და ცივილიზაციის სიახლეების სვლა...

რა თქმა უნდა, ნებისმიერი ფიქრობს და მართებულადაც იტყვიან, როგორ და რისიმიერი ძალისხმევით ცხოვრობენ და სუნთქავენ უნიჭო ათეისტები, ეშმაკეულნი და უკეთურნიო. ამ ცნობისმოყვარეობით სავსე შემთხვევაში პასუხად ბრძენნი იტყვიან უფლის უსაზღვრო სიყვარული და სიკეთე მფარველობს განურჩევლად მათაც. ღმერთი დიდსულოვნად მიუტევებს თითოეულსაც, ვინც ბარბაროსულად დაფლითა ჭეშმარიტება და უმოწყალოდ განდევნა ზნეობა-სიკეთე-სიყვარული. ნამდვილად რომ უზენაესის ღმობიერება და მიმტევებლობა, შეიძლება კაცთა მოდგმის ღვთიური დიდი ათასწლოვანი გამოცდაც იყოს; რაც ხილულ-უხილავი ყოველივე სამყაროსეული და ზენაარის მთლიანობის მოკაშკაშე მიწიერთათვის გაუკეთესობის სახეა. სრულიად ქვეყნიერების და ჩვენი პლანეტის ყოველ ცოცხალ არსებათა მხსნელ ცისფერ ფარდაგად გადაფარებული. უთუოდ მხოლოდ სიკეთის უზენაესისეული ზესიდიადე დათრგუნავს ადამიანის სულის თანდაყოლილ თითქმის განუკურნებელ ბოროტად დაჩრდილულ სატანურ უჯრედებს. მერმე უფრო ღვთისნიერ-ჰარმონიული გახდება დედამიწაზე არსებობა და ცხოვრება. ყველაფერი და აურაცხელობაც მომავალში საიმედოდ მოგვარებადია, მაგრამ, სიკვდილს, საუბედუროდ, არასოდეს არაფრით არა ეშველება რა, რათა ქვეყნიერების უკიდეგანობის ურთულესი და უმძიმესი ფუნქციებია მასში ჩასახულ-ჩაკირული. ის უსახურუნდო, უთუოდ აუცილებელი ფიზიკური წმენდაა ყოველგვარი შავბნელი მოქმედებითაც, ვარსკვლავეთის უსასრულობისა, რომლითაც ცოცხალთათვის შეურიგებელი, შეუთავსებელი უსაშინლესი ფორმა-სახის მოვლენის მფლობელია: საერთო ქვეყნიური პლანეტათა და არსებათა სიცოცხლე, ქვესკნეთელ სიკვდილს ვერასოდეს შეურიგდება. ყოველგვარი ეჭვების გარეშე, ერთ რამეზე მართებულად უნდა დავიმედდეთ და შეგნებულად მცირედად გაუშიფრავი მოლოდინით გავმაგრდეთ, რათა კოსმოსის იმ იდუმალი სფეროებით სრულიად ახალ და განსხვავებულ არსებითი გარდასახვებით ფუნქციებში რომ გადავალთ და მერმე ამქვეყნად ისევ განვმეორდებით...

და მაინც უტკბილესი დედამიწის მზისქვეშეთში დაბადებულ-აღმოცენებულთ, სიცოცხლის ფენომენალურ სუნთქვაფეთქვა და ხილულთან ინდივიდის სამუდამო გაყრა, შორეულ ვარსკვლავეთამდე ავარდნილი ჩაბნელებული შხამ-ეკლიანი ტრაგედიაა უთუოდ მის წინაშე აურაცხელი გალაქტიკები და დაზაფრული პლანეტებიც კანკალებენ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ღმერთებიც რომ უძლურია?! ასეთი ყოფილა ეს ქვეყნიერება მარადიული, რომელსაც უზენაესივე ყოველთა მიუკარებლად ერთუფლისმიერობით და სავსე იდუმალებებით წინაამძღოლობს...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დასაწყისი იხ. გაზ. „კოლხეთი“, №9.

დასასრული შემდეგ ნომერში

დაბადების მისტერია

თითოეული ჩვენთაგანი იდუმალებიდან მოვედით და ისევე იდუმალებაში ვუჩინარდებით. თუმცა, ხანმოკლე არსებობას სამყაროში საზრისული მნიშვნელობა აქვს, რადგან მარადიულობის ნაწილი ვხვდებით. ჩვენი პიროვნება, ქმედება და ძალისხმევა ყველაფერი დაბადებით იწყება, ვითარდება და იწრთობა. ცხოვრება მისტერიას - იგივე დრამას მოიცავს. ეს დრამა მეტნაკლებად გამოვლინდება თითოეული ადამიანების ცხოვრებაში.

დაბადება ღვთის საჩუქარია. საკუთარ დაბადებას ყველა მიეხარის. ადამიანი თვალია ჭეშმარიტების მჭვრეტელი, გულია ჭეშმარიტების შემგრძნობი და სული, ჭეშმარიტების შემცნობი. . თუმცა მუდამ უნდა გვახსოვდეს ,რომ ყოველ მოსახვევს იქეთ ახალი გზაჯვარედინი გველოდება.

ცხოვრება არ შეიძლება იყოს უბრალოდ არსებობა, დაბადებასა და გარდაცვალებას შორის: სიცოცხლე ეს თვით მარადიულობაა. ჩვენი დაბადება, ისე როგორც ჩვენი გარდაცვალება - მნიშვნელოვანი მოვლენაა ღმერთის არსებობაში. დაბადების შემდეგ ცხოვრება მიედინება სხეულში ... გარდაცვალების შემდეგ კი - სულში.

სამყარო ჩვენს ირგვლივ სრულყოფილია, მაგრამ ჩვენც ხომ არასრულყოფილები ვართ. სრულყოფილი სრულყოფილება ჯერ არ შობილა ქვეყანაზე. უნდა გვესმოდეს , რომ სრულყოფილებისაგან კაცობრიობა ჯერ შორსაა, ძალიან შორს. მაგრამ, ჩვენ უნდა მივიღოთ კაცობრიობა ისეთი, როგორც არსებული, ჩვენგან განუყოფელი და ღვიძლი ნაწილი.. ჩვენ უნდა ავიყვანოთ კაცობრიობა გარკვეულ სიმაღლემდე.

ასე რომ, ჩვენ არ უნდა შევიდეთ გამოქვაბულებში., არც დავიმალოთ თოვლიან კავკასიონის მთებში. მივიღოთ მსოფლიო როგორიც არის, შესაძლებლობის ფარგლებში გარდავქმნათ ის. ეს არის სიცოცხლის მიღება მთელი თავისი სისავსით, მისი გარდაქმნის განზრახვით, იმისათვის რომ ღვთაებრივმა ჭეშმარიტებამ მოიპოვოს აქ, დედამიწაზე უმაღლესი გამოვლინება.

ფიოდორ დოსტოევსკი და შტეფან ცვაიგი, მსოფლიო ლიტერატურის ამ ორი გენიის ცხოვრება იყო დრამა და თავგანწირვა ღირებულებათა ფენომენისადმი. კულტურა სულის მეტყველებაა. სულის ფორმადქმნაა. რაც დაბადებიდან თან სდევდა დოსტოევსკისა და ცვაიგს. ცვაიგი 1881 წელს ნოემბერში დაიბადა. დოსტოევსკის დაბადებიდან ზუსტად 60 წლის შემდეგ (1821) და დოსტოევსკის გარდაცვალების წელს. ეს ხომ ნიშანდობლივია? მით უფრო, რომ შტეფან ცვაიგმა იცხოვრა დოსტოევსკზე მეტი მხოლოდ ხუთი თვე, ისიც კრიტიკულ, დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფმა.

იქნებ სულელური აღფრთოვანებაა, მაგრამ მაინც. გენიოსი დოსტოევსკის მსგავსად თერთმეტ ნოემბერს მოვევლინე ქვეყანას. მეთერთმეტე თვის, მეთერთმეტე რიცხვს, ეს მართლაც სასიამოვნო შემთხვევითობაა. მილიონობით ადამიანი შობილა დედამიწის ზურგზე ამ თვესა და დღეს. საქართველოშიც ალბათ ათასობით ადამიანი გაჩენილა და ღვთის წყალობით დაიბადება მომავალში. უფალო გაამრავლე, გაფურჩქნე, აბედნიერე ერი ჩემი.

რას იძლევა ეს დამთხვევა ესთეტიკური განცდის გარდა? იწვევს სიამოვნებას. (როგორც ლამაზი, ან დიადი პეიჟაჟი, ქანდაკება, სურათი, ლექსი) და ასე შემდეგ.

ნოემბერი შემოდგომის ბოლო თვეა. როცა სამყაროს ჩრდილოეთი თოვლისა და ყინულის თეთრ საბურველშია გახვეული, სამხრეთით გაყვითლებული ფოთოლცვენის ჟამია. ეკლესიის ზარები იქაც და აქაც ერთნაირად ზრიალებენ ადამიანის დაბადების სამცნოდ. ლოცვა, ზიარება, ნათლობა მთელს ჩვენს ცხოვრებას მოიცავს. რითაც უფალს ვმადლობთ სამყაროს მოვლენისათვის. იგი გვახალისებს, იმედს გვინერგავს, როცა ვტორტმანებთ. ხელს გვიწვდის როცა ვეცემით. ღვთის გარეშე არც დაბადებაა და არც სიცოცხლე. იგი გვამოყვრებს წუთისოფელთან.

დოსტოევსკის დაბადება იყო მზის ნათელი სხივის გაელვება რუსეთის ცაზე. ნოემბრის ცივი ზამთრის შუშით გამთბარი სამშობიაროში, სადაც მისი ექიმი მამა მუშაობდა.

დანაშაულის ფილოსოფიის ძებნამ მაპოვნინა უკვდავი დოსტოევსკი, ხოლო მარადი შტეფან ცვაიგი, ქალთა ფსიქოლოგიის უბადლო ცოდნამ და შეფასებამ. ამჯერად მათი დაბადების ზეციურ მფარველებზე ორიოდ სიტყვა .

ჰოროსკოპით ნოემბერი „ღრიანკალის“ თვეა. (ბერძნ. „ჰორა“-დრო და „სკოპეო“-ვუყურებ, ვაკვირდები) - კონკრეტული ადამიანის დაბადების მომენტში ზეცის გრაფიკული გამოსახულება, ანუ რა მდგომარეობა ეკავათ მნათობებს, პლანეტებსა და ვარსკვლავებს. ადამიანის დაბადებისას. ციური მოვლენები არ ჩერდება, თუმცა კონკრეტული ადამიანის დაბადების ადგილსა და მომენტში ხდება ასე ვთქვათ, მისი "ზეციური სკანირება" და ამ დროს კოსმოსში მიმდინარე ციური მოვლენებში ფიქსირდება მის გარდუვალი ხასიათი თუ ბედისწერა..

ნოემბერი ღრიანკლის (მორიელის) ზოდიაქოში შედის. ღრიანკალს ორი მთავარი პლანეტა მფარველობს: ძლიერი და სასტიკი მარსი და ძლევამოსილი ნეპტუნი. ეს ორმაგი გავლენა განაპირობებს დაბადებულთა ხასიათს. ღრიანკალი იბრძვის, იტანჯება, თავის თავს სპობს, როცა გამოუვალ მდგომარეობაშია. არ იცის დანებება. ფერფლით აღსდგება და წარმოადგენს კონტრასტულ, ტემპერამენტიან, მეტად მიმზიდველ, მაგრამ ულმობელ ტიპს.

პირველი სიძნელე მისთვის ცხოვრებაა. ერთი შეხედვით მას ყველაფერი აქვს, რათა წარმატებას მიაღწიოს: ენერგია, ცხოველმყოფლობა, ძალა, მაგრამ ხასიათის სიფიცხის გამო, ღრიანკალი ხშირადაა გაღიზიანებული და იდუმალია. მაშინაც კი, როცა გულწრფელი ჩანს. იგი ჩაკეტილი და შემართულია. ეს მისი თავდაცვის ზომაა.

(გაგრძელება გვ. 4)

მე მხატვარი ვარ

20 ივნისს მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში ახალგაზრული თეატრი „ფიროსმანი" მაყურებლის წინაშე წარსდგა პრემიერით „მე მხატვარი ვარ". სცენაზე ახალგაზრდა მსახიობებმა დიდი ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის ცხოვრება და

მოღვაწეობა გააცოცხლეს. ეს იყო სრულიად განსხვავებული ხედვა, სულ სხვა მხრიდან დანახული ცხოვრება გენიოსი მხატვრისა. სპექტაკლს ლაიტმოტივად გასდევდა სიტყვები: „ოდესღაც ფიროსმანს შიმშილი კლავდა და დღეს მის ნახატში მილლიონს იხდიან". სპექტაკლის რეჟისორია ვეფხია გორგოძე. სპექტაკლში ფიროსმანის როლი შეასრულა ნიკო კაჭარავამ, მონაწილეობდნენ: თამარ გვარჯალაძე –ია, ლიზი ჭიტავა-მარგალიტა, ლუკა შურღაია-შეძლებული გლეხი, გიორგი ჩიჩუა -ოსტატი, ზურა ხევსურიანი, ლიზი, ანი, მარი

და დაჩი გნოლიძეები, ნინო ლომაია, ლიკა და ლანა სიჭინავები, ბორის ლაშქარავა.

პრემიერამ დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. პრემიერას სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ლევან უჩანეიშვილი, დირექტორის მოადგილე ნათია ეჯიბია, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრის რეჟისორი ირაკლი ადამია, მსახიობები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ახლახანს ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი" დაბრუნდა თურქედიდან, სადაც მონაწილეობა მიიღეს თურქეთის ქალაქ "ქემერში" გამართულ საერთაშორისო ფესტივალში.

„საქართველოში ჩატარდა სტუდენტური და საყმაწვილო თეატრების ფესტივალი "STRENGE BIRD", რომელშიც მონაწილეობა მიიღო 27 თეატრმა, მათ შორის ვიყავით ჩვენ- ამბობს დასის მსახიობი ნიკო კაჭარავა. წარვადგინეთ ჯემალ მონიავას პიესა „ჯვარცმული ბედნიერება(-რეჟისორი ვეფხია გორგოძე), დინამიურმა და ემოციურმა სპექტაკლმა, რომელიც აფხაზეთის ომის თემაზეა შექმნილი და ომის სისასტიკის ფონზე განვითარებული აფხაზი გოგონასა და ქართველი ბიჭის სიყვარულის ამბავზე მოგვითხრობს, ფესტივალის ჟიურის და მაყურებლის მაღალი შეფასება დაიმსახურა, პირველი ადგილი აიღო და მოვიპოვეთ თურქეთის მსოფლიო ფესტივალის საგზური, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 12 ქვეყანა. თურქეთში გავემგზავრეთ: ჩვენი რეჟისორი ვეფხია გორგოძე, მე, ოთარ არზიანი, ანი გნოლიძე, მერაბ ლატარია და ბორის ლაშქარავა. ჩვენთან ერთად ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად თურქეთში იმყოფებოდა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თეატრი ..მოდინახე". ჩვენმა სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ვსარგებლობ შემთხვევით და ჩვენი თეატრალური დასის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო სენაკის მერს, ბატონ ლევან კუპრეიშვილს, რომელმაც აღნიშნული ტურნე სრულად დააფინანსა და ბავშვებს უდიდესი სიხარული გვაჩუქა, მადლობა ასევე სენაკის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორს, ბატონ ლევან Uუჩანეიშვილს და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის თითოეულ თანამშრომელს გაწეული მხარდაჭერისთვის. განსაკუთრებული მადლობა ჩვენს რეჟისორს, ჩვენს უფროს მეგობარს ვეფხია გორგოძეს, რომ გვაზიარა თეატრალურ ხელოვნებას.

ივლისის მეორე ნახევარში მივემგზავრებით ქობულეთში, სადაც ჩატარდება საერთაშორისო ფესტივალი. ოქტომბერში ჩვენი თეატრი „ფიროსმანი" გახდება საქართველოს თეატრალური კავშირის წევრი.

რაც შეეხება ჩემს თეატრალურ ცხოვრებას, უკვე სამი წელია დასის წევრი ვარ და ის ჩემი მეორე ოჯახი გახდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თეატრმა მაქცია იმად, ვინც დღეს ვარ. მიყვარს ის საქმე, რასაც ვაკეთებ, ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა როლი დიდია თუ პატარა, ერთნაირი პასუხისმგებლობით ვეკიდები თითოეულ როლს. მიყვარს სახასიათო, საინტერესო პერსონაჟების განსახიერება, მომწონს თუნდაც ერთი საათით სხვა ადამიანად რომ გარდავისახები და მისი ცხოვრებით ვცხოვრობ საბოლოოდ ვაპირებ ამ სფეროს გავყვე. მსახიობი ვიქნები თუ რეჟისორი ჯერ არ გადამიწყვეტია, ალბათ ორივე".

ნიკო კაჭარავა №1 საჯარო სკოლის X კლასელია, სწავლასა და თეატრალურ ცხოვრებას კარგად უთავსებს ერთმანეთს. ვუსურვებთ ოცნებების ახდენას.

გაზეთის რედაქცია ულოცავს ნიკო კაჭარავას, მთელ თეატრალურ დასს და მის რეჟისორს ვეფხია გორგოძეს წარმატებებს და უსურვებს კიდევ ბერჯერ გაეხარებინოთ მაყურებელი ახალ-ახალი სპექტაკლებით.

მაია გერგაია

დახმარების ხელი გაუწოდეს

11 ივნისს სრულიად დაიწვა ხოფერიას ქუჩაზე მცხოვრები ნუგზარ მიქაძის საცხოვრებელი სახლი. 6 სულიანი ოჯახი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ხოფერიას ქუჩის მცხოვრებლები მადლობას ვუხდით მუნიციპალიტეტის მერიას, პირადად მუნიციპალიტეტის თავკაცს ლევან კუპრეიშვილს, რომელმაც პირველადი სამუშაოების ჩასატარებლად 3000 ლარი გადაურიცხა დაზარალებულ ოჯახს..

მადლობა გვინდა გადავუხადოთ მერის პირველ მოადგილეს გრიგოლ ბაღათურიას, მოადგილეს კახაბერ კუპრეიშვილს, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, საზოგადოებრივი მომსახურების, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრების წარმომადგენლებს: რამაზ კუპრეიშვილს, სოსო მორგოშიას, სოსო მორგოშიას, ლევან უჩანეიშვილს, ირაკლი კაჭარავას, თემურ კუბეციას, ბაჩო ქუთელიას, ყველა მოხალისეს, ვინც გულთან ახლოს მიიტანა ნუგზარ მიქაძის ოჯახის გასაჭირი, დახმარების ხელი გაუწოდეს და დამწვარი საცხოვრებელი სახლის დასუფთავებაში მიიღეს მონაწილეობა.

ლალი ხოფერია

დაბადების მისტერია

(დასასრული)

მუშაობასა და ვალდებულებების შესრულებაში რკინის ნებისყოფას ავლენს .არასდროს არ აქვს ილუზიების იმედი. სწრაფად პოულობს ადამიანების თუ სიტუაციის სუსტ წერტილს. იგი ბუნებით მებრძოლია. მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებას იყენებს. სექსუალურად ძლიერი და ქალთა გულის მპყრობელია. მომეტებულ ყურადღებას აქცევს მდედრთა სუსტ წერტილებსა და ფსიქოლოგიას. რა ზუსტად ასახავს ასტროლოგია ადამიანის ბედს და უახლოვდება მის დაბადების მისტერიას (დრამას). თუ ზემოთ თქმულს მიუსადაგებთ ორთავე შემოქმედის ცხოვრებას, ნათელი გახდება რა წინააღმდეგობებით იყო სავსე მათი მთელი არსებობა .დოსტოევსკი დაპატიმრების შემდეგ ძლივს გადაურჩა დახვრეტას. როგორც იტყვიან ფერფლისგან აღსდგა. მისი საქმიანობა ეს იყო ნამდვილი ბრძოლის ველი, ცხოველმყოფლობა და ულევი ენერგიის გამოვლენა დასჭირდა ეპილეფსიით დაავადებულს მიზნისთვის მიეღწია. რამაც საბოლოოდ იმსხვერპლა.

ურთულესი ცხოვრება გაიარა ცვაიგმა. დევნა, დამცირება, გაქცევა სამშობლოდან. თუმცა, პირადი ტემპერამენტითა და ვალდებულებებში რკინისებური ნებისყოფის გამოვლენით საწადელს მიაღწია. მისი განხეთქილება დროსთან. დაპირისპირება ტირანიასთან, პიროვნების თავისუფლების აღდგენისთვის ბრძოლა... ეს გახლავთ ცვაიგის შემოქმედების ძირითადი მოტივი და ალბათ, მისი დაბადების არსის მისტერია.

ბიბლიის პირველ წიგნში „დაბადება" უფალი ამბობს: „გავაჩინე კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსად" (დაბადება 1; 26) ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ყველანი უფალს ვგავართ ,ვიდრე სხვა რამეს. იმასაც ვხვდებით, რომ სანამ კაცობრიობა ცოდვის მორევში გაეხვეოდა და წყევლა დედამიწაზე გავრცელდებოდა. მისცა, შეუქმნა მას ყველა პირობა, მაგრამ ეს არ დააფასა, როცა ადამიანი ცოდვაში ჩავარდა წყევლამ მოიცვა მთელი ქვეყანა.

ბერძნული ჰოროსკოპის მიხედვით ნოემბერში დაბადებულთ, ომის ღმერთი, ძლევამოსილი არესი მფარველობთ. ეგვიპტური მითოლოგიის მიხედვით სწორუპოვარი სფინქსი.

დაბადების დღის აღმნიშვნელი ქვები და ყვავილებიდან ნოემბერს ესადაგება უმშვენიერესი ქრიზანთემა და ძვირფასი ქვა რტოპაზი. ტროპაზი ერთგულების სიმბოლოა. იგი ცნობილია, როგორც „ძძიმეწონიანი" - რადგან ადამიანს გადასცემს სხვებზე ზემოქმედების შესაძლებლობას. მის მფლობელებს შეუძლიათ გარშემომყოფები თავის ნებას დაუქვემდებარონ და შთააგონონ საკუთარი აზრები.. ტოპაზს შინაგანი გაბრწყინების ქვასაც ეძახიან. იგი ამძაფრებს რეაქციას გარემოს მიმართ, ავითარებს ინტუიციას, ფარდას ხდის საიდუმლოებებს და რაც მთავარია, მფლობელისათვის სიმდიდრე მოაქვს.

დანტე აღფრთოვანებული წერს: „პირველი, რასაც დოსტოევსკი განგაცდევინებს ძრწოლაა, შემდეგ კი – სიდიადე. სახით, რომ გლეხსა თუ სულაც მდაბიოს ჰგავს, ერთი შეხედვით მისი ბედიც ულმობელი და მარტივი მოგეჩვენება. პირველად შეიძლება უაზროდ ჩათვალოთ ის საშინელი წამება, რომელიც მის დაუძლურებულ სხეულს არგუნა ბედმა: სამოცი წლის განმავლობაში დაუბოლოვებელი ტანჯვა. სიღარიბემ სიტკბოება გადაქლიბა მის სიჭაბუკეს, აგრეთვე სიბერე. ფიზიკური ტკივილი ხერხივით ჩაეჭდო მის ძვლებს, გაჭირვების ბურღმა დაუზოგავად დახვრიტა მისი სასიცოცხლო ნერვი, გავარვარებული ნერვები განუწყვეტლივ აცახცახებდნენ მის სხეულს, ავხორცობის ნარეკლებმა დაუოკებელი ვნებათაღელვა აუშალეს. არცერთი სასჯელი არ ეპატია, ყოველგვარი წამება განაცდევინეს. ასეთი ბედ-იღბალი ერთი შეხედვით, უაზროდ მკაცრი და ბოროტი გვეჩვენება. მაგრამ თუ გონების თვალით უკან მოვიხედავთ დავინახავთ, ბედის ურო იმიტომ იყო ასეთი ულმობელი, რომ უკვდავებას სჭედავდა! იმიტომ იყო ასე ძლიერი, რომ ძლიერს უნდა გატოლებოდა. ბუმბერაზ ადამიანს საერთო საზომით როდი აურწყავს ხოლმე ბედი თავის წყალობას. დოსტოევსკის ცხოვრების გზა არაფრით არ ჰგავს მეცხრამეტე საუკუნის სხვა მწერლების მოკირწყლულ შარაგზას. მუდამ ასეა: ღვთიურ განგებას ისა სწადია, ძლიერი ძლიერს შეერკინოს. თითქოს ძველი აღთქმის ვარსკვლავზეა დაბადებული, თავგადადებული გმირობა დააბერტყა თითქოს ზენაარმა მის ეტლს."

შტეფან ცვაიგს ბედისწერამ ისე მოუწყო, რომ ჰიტლერის ფაშისტურ რეპრესიებს გერმანიიდან ბრაზილიაში გაექცა , მაგრამ იქ ვერ პოვა სიმშვიდე და როგორც ღრიანკლის თვისებაა, ბედისწერას არ დამორჩილდა და საწამლავით მოისწრაფა სიცოცხლე.

ცვაიგის ასე აფასებს დოსტოევსკის:. „უძლურია ჩვენი გონება, ვერც ვერაოდეს ჩასწვდება იგი ბოლომდე ამ სამყაროს: მეტის-მეტად უცხოა-მეთქი მისი პირველი გაცნობის მომაჯადოებელი სიძლიერე, უზომოდ ღრმაა მისი ნააზრევი, ფრიად უჩვეულო ამბებია მოთხრობილი. ამიტომაც გვეხამუშება ეს უცხო, არამშობლიური ზეცა. ვერაფერს გავუგებთ დოსტოევსკის, თუ შინაგანად, მთელი არსებით არ განვიცადეთ იგი. ჯერ საკუთარი ძალები უნდა მოვსინჯოთ და გამოვწვრთნათ, შევიტყოთ, თუ რამდენად ძალგვიძს სხვისი დარდის გაზიარება, სხვისი თანაგრძნობის და ახლის ზეაღმატებული აღქმა: ფარული, ღრმა ფესვები უნდა გამოვჩხრიკოთ ეგებ ამ გზით გავიგოთ მისი, ერთი შეხედვით ფანტასტიკური, სინამდვილეში კი საოცრად ალალი, საოცრად ჭეშმარიტი კაცთმოყვარეობა. მხოლოდ იქ-მეთქი, ჩვენი ყოფიერების ყველაზე ღრმად დაფარული, მარადიული და უხვად განტოტვილი ფესვების იდუმალ სამფლობელოში თუ მივაკვლევთ დოსტოევსკის შეცნობის, გაგების უნარს

1887 წელს ნიცშე დოსტოევსკის შემოქმედებას ეცნობა და საოცარ აღტკინებით წერს: „ერთადერთი ფსიქოლოგი, რომელმაც ცოტა რამ მასწავლა მე", ხოლო კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებს,, რომ ეს არის კაცი, რომელიც ზეკაცისთვის ქოხს აშენებდა ქვეყნად. ეპილეპტიკი და ენადაბმული მისტიკოსი, ამორი, დეკადანსი და გარიჟრაჟი, ეროტიკოსი და ღმერთების მაძიებელი, ქრისტე და ანტიქრისტე- ესაა დოსტოევსკი."

რადგან სიცოცხლე დაბადებით თუ გაჩენით იწყება, სიცოცხლის ერთიანი სტრუქტურა მთელ ბიოსფეროშია ჩადებული. ის ერთიანი სქემის მიხედვით, ერთიანი გენეტიკური პრინციპით მუშაობს და იმ ელემენტების საფუძველზეა აგებული, რომელიც მან ბუნებაში მოიპოვა. ალექსანდრე მენი, ამის ნათელ მაგალითს გვაძლევს. „მდედრი რვაფეხა კვერცხის დადების შემდეგ თავს იკლავს. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ მან თავისი დანიშნულება ზედმიწევნით შეასრულა .იგივე ხდება მრავალ ცოცხალ არსების შემთხვევაში. ვისაც საღამოობით მდინარეზე მოფარფატე ჭრიჭინების გუნდისთვის მოუკრავს თვალი, ბევრჯერ უფიქრია ალბათ, რას უნდა ნიშნავდეს ეს მათი სადღესასწაულო ცეკვა? ეს ცეკვა ერთდროულად სასიყვარულოა და სასიკვდილოც. მათ ჭამაც კი არ შეუძლიათ, რადგან პირის გარეშე იბადებიან. ამ ერთადერთ საღამოს მათი ერთადერთი მოწოდება განაყოფიერებაა. ისინი იმისათვის იჩეკებიან, რომ ახალ გენერაციას დაუდონ სათავე. ამ მისიის შესრულების შემდეგ კი იღუპებიან "

აი, ეს არის დაბადების მისტერია .არ უნდა ვიფიქროთ, რომ გარდაცვალებისას სულის სხეულისაგან გამოყოფა ადამიანის განთავისუფლებაა. არა, ღმერთმა თუ გამჩენმა, ჩვენ ისეთ არსებად ჩაგვიფიქრა, რომელშიც საქორწინო კავშირი შეკრეს მატერიამ და ბუნებამ უკვდავ სულთან. სწორედ ამაშია ადამიანის ყოფიერების იდეა. რაც დიდია მასში ეს არის ის, რომ იგი ხიდია და არა მიზანი, ის რაც სიყვარულის ღირსია ადამიანში, ეს არის ის, რომ იგი გადასვლა და დაღუპვაა იდეალებისთვის.

ბორის დავითაია

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.
ტელ: 223779; 223711; 223499.